საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 4362/01
28/04/2022

4362-01-2-202204281647

შპს „ბიოლოგიკას“

მის: ქ. რუსთავი, მარის არხის III დასახლება

ელ.ფოსტა: g.kvesitadze@imobiliari.ge

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი №7656 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. რუსთავში, მარის არხის III დასახლებაში, სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავების (სამედიცინო ნარჩენების ავტოკლავირება) ობიექტის ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დოკუმენტის თანახმად, შპს „ბიოლოგიკას“ სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავების (სამედიცინო ნარჩენების ავტოკლავირება) საწარმო განთავსებულია ფ/პ მაია ჩადუნელისა და ანა ჭილაძის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 64.24.01.845) არსებულ შენობა-ნაგებობაში, რომლის ნაწილსაც შპს „ბიოლოგიკა“ ფლობს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე. შესაბამისად, სკრინინგის განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნეს იჯარის ხელშეკრულება;
- დაზუსტებას საჭიროებს ობიექტის ტერიტორიისა და სახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსების კონტეინერების სველი წესით დამუშავების შედეგად წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად, სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე